



სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მ/შ
ბატონ ანზორ გოგიტიძეს

ტყის მართვის სამსახურის უფროსის
ავთანდილ მახარაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ანზორ,

ტყის მართვის სამსახურში შესწავლილია, მოქალაქე გენადი ანანიძის (პ/ნ 61002012749) 2018 წლის 22 მაისის №827/09 განცხადება, რომელიც ეხება ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის, ერგეს სატყეოს კვარტალი №23-ის ლიტერი №28-ში მდებარე 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №22.31.01.871) სახელმწიფო ტყის ფონდით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობისათვის ელექტრონული აუქციონის გამოცხადების საკითხს 10 (ათი) წლის ვადით.

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 28 მაისის №230060 კორესპონდენციით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი მოქცეულია „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის მიერ შესწავლილია აღნიშნული ფართობი და 2018 წლის 13 ივნისის № 11/130 კორესპონდენციით წარმოდგენილია ინფორმაცია.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო 2018 წლის 18 ივლისის №5/40540 კორესპონდენციის შესაბამისად, არ არის წინააღმდეგი ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის, ერგეს სატყეოს კვარტალი №23-ის ლიტერი №28-ში მდებარე 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ №22.31.01.871) სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე წერილში დასმული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადმინისტრაციულმა სამსახურმა განიხილოს და მოამზადოს შესაბამისი ბრძანება ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის, ერგეს სატყეოს კვარტალი №23-ის ლიტერი №28-ში მდებარე 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ №22.31.01.871) 10 (ათი) წლის ვადით სახელმწიფო ტყის ფონდით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობის ელექტრონული აუქციონისთვის.

დანართი: 11 (თერთმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ავთანდილ მახარაძე

სამსახურის უფროსი
ტყის მართვის სამსახური

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'Avtandil Makharadze', is written over the printed name and partially over the title.